

სტატისტიკური ანგარიში 2018 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ

2018 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სულ შემოვიდა 4737 საჩივარი, შუამდგომლობა და განსჯადობის საქმე. მათ შორის 987 - სისხლის სამართლის საქმეზე (სულ შემოსული საქმეების 20,8%), 2139 – სამოქალაქო საქმეზე (45,2%), 1611 – ადმინისტრაციულ საქმეზე (34,0%).

2017 წელთან შედარებით სულ შემოსულ საქმეთა რაოდენობა გაიზარდა 27,4%-ით.

2018 წელს სულ განხილულია 3722 საჩივარი, შუამდგომლობა და განსჯადობის საქმე, მათ შორის 897 – სისხლის სამართლის საქმეზე (სულ განხილული საქმეების 24,1%), 1675 – სამოქალაქო საქმეზე (45,0%), 1150 ადმინისტრაციულ საქმეზე (30,9%).

2017 წელთან შედარებით სულ განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 7,4%-ით.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 16,8%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა - 3,4%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2017 წლის 29,2%-დან გაიზარდა 2018 წლის 35%-მდე.

2018 წელს სულ განხილულია 730 საკასაციო საჩივარი (2,5%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს) 878 პირის მიმართ (1,0%-ით მეტი). უცვლელად დატოვებული განაჩენების (განჩინებების) ხვედრითი წილი დარჩა 2017 წლის დონეზე და შეადგინა 92%.

სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატა

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 34,8%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა - 9,5%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2017 წლის 24,7%-დან გაიზარდა 2018 წლის 36,8%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა საკასაციო საჩივრით შემოსული 1049 საქმე, რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 910 საქმეზე და გაუქმდა 139 საქმეზე. უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილებების (განჩინებების) ხვედრითი წილი 2017 წლის 85,5%-დან გაიზარდა 2018 წლის 86,7%-მდე.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა პალატა

2018 წელს საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 35,1%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა -17,1%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2017 წლის 34%-დან გაიზარდა 2018 წლის 44,6%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულია საკასაციო საჩივრით შემოსული 1040 საქმე; რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 969 საქმეზე, გაუქმდა 71 საქმეზე. უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებათა ხვედრითი წილი დარჩა 2017 წლის დონეზე და შეადგინა 93,2%.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წელს საკასაციო საჩივრით განიხილა 1040 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 364 საქმე, ანუ 35,0%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 663 საქმე, ანუ 63,8%. საგადასახადო დავებზე განხილული იყო 134 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ გადაწყდა 41 საქმე, ანუ 30,6%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 92 საქმე, ანუ 68,7%.